საქმე №3/5958-16

2717059512034

www.info.court.ge

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

13 აგვისტო, 2016 წელი ქ. თბილისი

შესავალი ნაწილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე დავით წერეთელი
სხდომის მდივანი იამზე შიშნიაშვილი

მოსარჩელე - ა(ა)იპ სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება
წარმომადგენელი - ნინო რიჟამაძე

მოპასუხე - პოლიტიკური გაერთიანება ცენტრისტები
წარმომადგენლები - თეიმურაზ ხაჩიშვილი (თავმჯდომარე), ირაკლი ჩუბინიძე, ვლადიმერ ბედუკაძე

მესამე პირი - საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

დავის საგანი - საარჩევნო სუბიექტის რეგისტრაციის გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სასარჩელო მოთხოვნა:

1.1. საარჩევნო სუბიექტს - მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანება ცენტრისტებს გაუუქმდეს რეგისტრაცია.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოპასუხე - პოლიტიკური გაერთიანება ცენტრისტების წარმომადგენლებმა სარჩელი არ

ცნეს და განმარტეს, რომ სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

3. მესამე პირის პოზიცია:

მესამე პირი - საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა.

4. ფაქტობრივი გარემოებები:

4.1. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1.1. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ცენტრისტები საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებულია საარჩევნო სუბიექტად საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით.

პოლიტიკური გაერთიანება ცენტრისტების თავმჯდომარეა თეიმურაზ ხაჩიშვილი.

ა(ა)იპ სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულია ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციად.

მტკიცებულება, რომელსაც ეყრდნობა სასამართლო:
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით რეგისტრირებულ პოლიტიკურ გაერთიანებათა ნუსხა (ს.ფ. 17-20);
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 15 ივლისის N43/2016 განკარგულება მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ცენტრისტების და მისი წარმომადგენლის რეგისტრაციაში გატარების შესახებ (ს.ფ. 54);
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 27 ივნისის N262/2016 განკარგულება ა(ა)იპ სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის შესახებ.
- მხარეთა ახსნა-განმარტება.
- საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები.

4.1.2. მოქალაქეთა პოლიტიკურმა გაერთიანებამ - ცენტრისტებმა შეიმუშავეს და გამოაქვეყნეს ამომრჩევლებისათვის შეთავაზების ჩამონათვალი (პოლიტიკური ხელშეკრულება ამომრჩევლებთან), სადაც ერთ-ერთ პუნქტად მითითებულია, რომ პოლიტიკური გაერთიანება - ცენტრისტები საქართველოს პარლამენტის 2016 წლის არჩევნების შემდეგ, ამომრჩევლის წინაშე იღებს ვალდებულებას, რომ 50 დღეში საქართველოს ყველა პენსიონერი, ვინც გამოთქვამს სურვილს მიიღებს რუსულ პენსიას, რომელიც საშუალოდ არის 400 ლარი.

ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში პოლიტიკური გაერთიანება - ცენტრისტების თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საქართველოს ყველა პენსიონერი, ვინც გამოთქვამს სურვილს, საქართველოს პარლამენტის 2016 წლის არჩევნების შემდეგ მიიღებს რუსულ პენსიას, რომელიც საშუალოდ არის 400 ლარი და ამისათვის, სურვილის მქონე ამომრჩეველმა უნდა გაიაროს პარტიაში რეგისტრაცია და ხელი უნდა მოაწეროს აღნიშნულ შეთავაზებას (პოლიტიკურ ხელშეკრულებას ამომრჩეველთან).

მტკიცებულება, რომელსაც ეყრდნობა სასამართლო:

- პოლიტიკური გაერთიანება - ცენტრისტების ამომრჩევლებისათვის შეთავაზების ჩამონათვალი (პოლიტიკური ხელშეკრულება ამომრჩევლებთან), (ს.ფ. 16);
- ვიდეო მასალა;
- მხარეთა ახსნა-განმარტება.
- საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები.

სამოტივაციო ნაწილი:

5. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა:

საქმეში არსებული მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, სარჩელის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმებისა და საქმეში არსებულ მტკიცებულებათა სამართლებრივი შეფასების შედეგად, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

6. კანონები, რომლებითაც სასამართლომ იხელმძღვანელა:

საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საქართველოს საარჩევნო კოდექსი, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი.

7. სამართლებრივი შეფასება:

7.1. საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-2 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ ორგანული კანონის შესაბამისად შექმნან პოლიტიკური პარტია, სხვა გაერთიანება და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერება ან მათი აკრძალვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, უზრუნველყოფილია ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება, ხოლო კონსტიტუციის 50-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, პარლამენტის წევრის არჩევის წესი, აგრეთვე არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის დაუშვებლობა განისაზღვრება

კონსტიტუციითა და ორგანული კანონით.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ხალხის ნება უნდა იყოს საფუძველი მთავრობის ძალაუფლებისა. ეს ნება უნდა გამოიხატებოდეს პერიოდულ და გაუყალბებელ არჩევნებში, რომლებიც უნდა ტარდებოდეს საყოვეთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების პირობებში, ფარული კენჭისყრით, ანდა სხვა თანაბარმნიშვნელოვანი ფორმების მეშვეობით, რომლებიც უზრუნველყოფენ ხმის მიცემის თავისუფლებას.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საარჩევნო სუბიექტს, რომელიც უშუალოდ ან თავისი წარმომადგენლის ან მის სასარგებლოდ მოქმედი ნებისმიერი სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირის მეშვეობით ეწეოდა ამ მუხლით გათვალისწინებულ აკრძალულ საქმიანობას, სასამართლოს გადაწყვეტილებით უუქმდება რეგისტრაცია ასეთი ფაქტების დადასტურების შემთხვევაში.

აღნიშნული კოდექსის 78-ე მუხლის მე-15 ნაწილის თანახმად, ამ კანონის 47-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ქმედების გამო სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება მათ შორის აქვს დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას.

ამრიგად, სასამართლო განმარტავს, რომ მოქალაქეთა მიერ პოლიტიკური გაერთიანების შექმნა, მასში მონაწილეობა და არჩევნებში მონაწილეობის მიღება საქართველოს ყველა მოქალაქის ძირითადი, კონსტიტუციური უფლებაა, რაც თავის მხრივ გულისხმობს აღნიშნული შესაძლებლობის მოსპობის საამისოდ საკმარისი, კონსტიტუციით და ორგანული კანონით გათვალისწინებული სათანადო საფუძვლის გარეშე დაუშვებლობას. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ უნდა იმსჯელოს არსებობს, თუ არა საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე საარჩევნოს სუბიექტის - მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების - ცენტრისტების რეგისტრაციის გაუქმების ორგანული კანონით დადგენილი საფუძვლები.

7.2. საქართველოს კონსტიტუციის 44-ე მუხლის პირველი პუნქტი ყველას ავალდებულებს საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულებას.

სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლით გარანტირებული ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინების პირობა, მათ შორის გულისხმობს რაიმე სახით ამომრჩევლის ნებაზე არამართლზომიერი ზემოქმედების აკრძალვას და დაუშვებლობას, რაც შეიძლება გამოიხატოს პოლიტიკური, ეკონომიკური, თუ სხვა ზემოქმედებაში.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25^2-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად,არჩევნების დანიშვნის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან არჩევნების საბოლოო შედეგების

გამოქვეყნებამდე აკრძალულია საარჩევნო სუბიექტების, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებისა და მათი წარმომადგენლების მიერ პირადად ან ვინმეს მეშვეობით საქართველოს მოქალაქეებისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემა (მიუხედავად მათი ღირებულებისა), შეღავათიან ფასად საქონლის მიყიდვა, უფასოდ ნებისმიერი საქონლის (გარდა ამ კანონით გათვალისწინებული სააგიტაციო მასალისა) მიწოდება ან გავრცელება, აგრეთვე საქართველოს მოქალაქეების დაინტერესება ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემის დაპირებით (მიუხედავად მათი ღირებულებისა).

სასამართლო აღნიშნავს, რომ აღნიშნული ნორმებით დადგენილი აკრძალვის ფარგლების სწორად გაგების მიზნით, მიზანშეწონილია აღნიშნული ნორმა განიმარტოს სისტემურად სხვა ნორმებთან ერთობლიობაში.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-3 ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით, პოლიტიკურ პარტიას, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატს, საარჩევნო სუბიექტს და მათ მხარდამჭერებს უფლება აქვთ, გამოვიდნენ მომავალი საქმიანობის პროგრამით.

სასამართლო განმარტავს, რომ კონსტიტუციურ სამართალში აღიარებული დოგმის მიხედვით, დემოკრატიის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი და განმსაზღვრელი თავისუფალი პოლიტიკური კონკურენციის უზრუნველყოფაა, რისი განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი კონსტიტუციური სამართლებრივი ინსტრუმენტი სწორედ არჩევნებია, ხოლო პოლიტიკური, წინასაარჩევნო კონკურენცია პოლიტიკური გაერთიანებების მიერ ამომრჩეველთათვის საკუთარი სამომავლო ხედვების და პროგრამების თავისუფლად გაცნობით ხორციელდება, რაზეც საბოლოო გადაწყვეტილებას ამომრჩევლები იღებენ.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოპასუხემ - მოქალაქეთა პოლიტიკურმა გაერთიანებამ - ცენტრისტებმა ამომრჩეველს შესთავაზეს მათი ხედვა, თუ როგორი იქნება სახელმწიფოს სოციალური (საპენსიო) პოლიტიკა არჩევნებში მათი გამარჯვების შემთხვევაში.

სასამართლო აღნიშნავს, რომ პენსია თავისი შინაარსით, სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფის მექანიზმია, რაც გულისხმობს იმას, რომ საპენსიო უზრუნველყოფის ფორმას **მხოლოდ სახელმწიფო** განსაზღვრავს შესაბამისად, ერთი მხრივ, იგი სახელმწიფო სოციალური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, ხოლო მეორე მხრივ, მისი უზრუნველყოფა, გარდაქმნა და ა.შ. მხოლოდ იმ პოლიტიკური გაერთიანების კომპეტენცია იქნება, რომელიც არჩევნებში გაიმარჯვებს და ამ გზით მოიპოვებს პოლიტიკურ ხელისუფლებას.

სასამართლო მიუთითებს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25^2 -ე მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლის შესაბამისად, ამ

მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული, დაპირებასთან დაკავშირებული **აკრძალვა არ შეეხება პოლიტიკურ და საარჩევნო დაპირებებს, რომლებიც უკავშირდება საბიუჯეტო სახსრების სამომავლო განაწილებას და სახელმწიფო პოლიტიკის სამომავლო განხორციელებას.**

ამრიგად, სასამართლო განმარტავს, რომ კანონმდებლის მიზანი არის ის, რომ ამომრჩევლის მოსყიდვა გაიმიჯნოს სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების სამომავლო ხედვის გამოვლინებისაგან. მაშასადამე, კანონმდებელმა ზემოთ აღნიშნული აკრძალვის ზღვარი დაადგინა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების მიერ ამომრჩევლების ფულადი სახსრების მხოლოდ მათ სასარგებლოდ ხმის მიცემის სანაცვლოდ დაპირებასა და სახელმწიფო პოლიტიკის სამომავლოდ განხორციელებას შორის, რისი მიზანიც არის ის, რომ არჩევნებში მონაწილე კონკურენტ პოლიტიკურ გაერთიანებებს არ შეექმნათ დაბრკოლება ამომრჩევლებს საკუთარი ხედვა, პროგრამა წარუდგინონ სახელმწიფო პოლიტიკის სამომავლოდ განხორციელებასთან დაკავშირებით, როგორიც არ უნდა იყოს იგი, ხოლო ასეთი პროგრამა მისაღებია, თუ არა ამომრჩევლებისათვის ამას თვით ამომრჩევლები გადაწყვეტენ კენჭისყრის დროს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოცემულ შემთხვევაში მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ცენტრისტების თავმჯდომარის მიერ მიერ განხორციელდა აღნიშნული პოლიტიკური გაერთიანების ხედვის ამომრჩევლებისათვის წარდგენა სახელმწიფო პოლიტიკის (სოციალური-საპენსიო) სამომავლო განხორციელებასთან დაკავშირებით და საქართველოს საარჩევნო კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 25^2-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი აკრძალვის ფაქტი არ დასტურდება, რის გამოც სარჩელი აღნიშნული პოლიტიკური გაერთიანების რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

8. საპროცესო ხარჯები:

8.1. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის, მე-2 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებები, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სარჩელზე უარის თქმისას სასამართლოს მიერ გაწეული ხარჯები გადახდება მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ხოლო ამავე კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილი თანახმად, სასამართლო ხარჯებს მოიცავს სახელწიფო ბაჟი, რაც მოსარჩელის მიერ გადახდილია დავის საგნის მოცულობის პროპორციულად. ამდენად, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს საარჩევნო კოდექსის 47-ე და 77-ე მუხლებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-2, მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 55-ე, 244-ე, 248-ე, 249-ე, 257-ე, 364-ე, 367-ე, 369-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ა(ა)იპ სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

2. მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 ლარი ჩაითვალოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად.

3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის შეტანის გზით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მდებარე: ქ. თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზ. 7ა) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6) 2 კალენდარული დღის ვადაში დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარეთათვის გადაცემის მომენტიდან.

მოსამართლე

დავით წერეთელი